აჭარაში მცხოვრებ მუსლიმ ქალთა საჭიროებების კვლევა

იანვარი, 2018

თბილისი, საქართველო

შინაარსი

შესავალი 1

მეთოდოლოგია 2

- კვლევის შეზღუდვები 3

შედეგები 4

- განათლებაზე ხელმისაწვდომობა 4
- დასაქმება 12
- პოლიტიკური მონაწილეობა 17
- სოციალური ცხოვრება 21
- დასკვნა 22

რეკომენდაციები 24

კვლევა ჩატარდა ორგანიზაცია „We Research“-ის მიერ „ქართველ მუსლიმთა კავშირის“ დაკვეთით, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, რომელსაც საქართველოს გაეროს ასოციაცია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

კვლევაში მონაწილეობისა და დახარჯული დროის გამო კვლევითი ჯგუფი მადლობას უხდის დისკუსიების მონაწილეებს და, ასევე, „ქართველ მუსლიმთა კავშირის“ თანამშრომლებს - კვლევის განხორციელებაში შეტანილი წვლილისათვის.

ანგარიშში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის კვლევის ავტორს და ის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად არ უნდა აღიქმებოდეს.

კვლევის ავტორი: ლელა ჯავახიშვილი

მოკლე შეჯამება

საქართველოში მცხოვრები ქალები არაერთი გამოწვევის წინაშე დგანან. მათთვის დღემდე არსებობს ბარიერები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოს პროგრესულ ნაწილს უკვე ნაკლებად აწუხებს. მიუხედავად იმისა, რომ ვითარება ჩვენშიც ნელ-ნელა იცვლება, მაინც გვხვდება ჯგუფები, რომლებსაც მთელ რიგ შესაძლებლობებთან კვლავაც არასრული წვდომა აქვთ. გენდერული ნიშნით ჩაგვრას ხშირად სხვა, მაგალითად, რელიგიური თუ ეთნიკური ასპექტებიც ერთვის თან.

წინამდებარე კვლევის მიზანს აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალების წინაშე არსებული შესაძლებლობებისა და საჭიროებების გამოვლენა და ანალიზი წარმოადგენდა. კვლევის ფარგლებში თვისებრივი, კერძოდ, კი ჯგუფური დისკუსიის მეთოდი გამოვიყენეთ.

კვლევის შედეგების მიხედვით, აჭარელი მუსლიმი ქალები გენდერულ და რელიგიურ დისკრიმინაციას განიცდიან, რაც მათ პიროვნულ თუ პროფესიულ განვითარებას უშლის ხელს. მართალია, ქვეყანაში არსებული სხვადასხვა სერვისები ფორმალურ დონეზე ხელმისაწვდომია მათთვის, მაგრამ პრაქტიკა აჩვენებს, რომ დისკრიმინაციას ისინი აწყდებიან როგორც განათლების, ისე დასაქმებისა და პოლიტიკურ აქტივობაში ჩართვის დროს.

კვლევის მიხედვით, განათლების და დასაქმების პროცესში დისკრიმინაცია, ძირითადად, მათი რელიგიური კუთვნილების გამო ხდება, რაც განსაკუთრებით იმ ქალებისთვის დგას მწვავედ, ვინც თავსაფარს ატარებს. ხოლო პოლიტიკური აქტივობისას ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს საზოგადოების მხრიდან სქესთან დაკავშირებული მოლოდინები აბრკოლებთ. კვლევის შედეგებით ირკვევა, რომ ქალებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია გასართობი აქტივობებიც, განსაკუთრებით, მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებთათვის. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ქალები ხშირად თავს არიდებენ მათ ცხოვრებაში არსებული დაბრკოლებების აღიარებას, პრობლემებისგან რატომღაც დისტანცირდებიან და მათ მოგვარებას სხვებს ანდობენ.

განათლების მიღების, დასაქმების, პოლიტიკურ და სამოქალაქო ჩართულობისა და სოციალური ცხოვრების სურვილისამებრ წარმართვა ყველა ადამიანისთვის აუცილებელი პირობაა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით. თუმცა, კვლევის შედეგების მიხედვით, ამ უფლების რეალიზებას მუსლიმი ქალები სრულყოფილად ვერ ახერხებენ - საზოგადოებრივი აზრის, თვითდისკრიმინაციის, გენდერული და რელიგიური ნიშნით არსებული სტერეოტიპების გამო. ამ და სხვა მიზეზების გათვალისწინებით, აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალები არაერთი პრობლემის წინაშე დგანან, რაც მათ მოწყვლადობას განაპირობებს.

შესავალი

როგორც ვთქვით, წინამდებარე კვლევის მიზანი აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალების საჭიროებების გამოვლენა და შესწავლაა.

ისლამს საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და ქვეყნის მეორე რელიგიაა სიდიდით. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 83.4% მართლმადიდებელია, 10.7% კი - მუსლიმი.[1] მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ქვეყანაში მაინც არსებობს გარკვეული შეზღუდვები თუ წინააღმდეგობები, რომლებსაც მისი მიმდევრები, განსაკუთრებით კი, ქალები აწყდებიან.

არაერთი კვლევა ცხადჰყოფს, რომ რელიგიურ, ეთნიკურ, რასობრივ და ა.შ უმცირესობებს ნაკლები წვდომა აქვთ განათლებაზე, დასაქმებაზე, ჯანდაცვისა და სოციალურ სერვისებზე[2]. მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ ჯგუფის წევრები ადგილობრივ დონეზე ხშირად უმრავლესობას წარმოადგენენ, იმის გამო, რომ მათი ხვედრითი წილი ქვეყნის საერთო ტერიტორიაზე შედარებით მცირეა, ზემოთ ნახსენები ბარიერები მაინც ვრცელდება მათზე.

ადამიანების მხრიდან რელიგიური უმცირესობებისადმი განწყობებს არაერთი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორისაა სასკოლო განათლება და მედია, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) კვლევის -„რელიგია საჯარო სკოლებში“ - მიხედვით, სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორების მცდელობის მიუხედავად, ვერ ხერხდება, მოსწავლეებს დაბალანსებული, ნაციონალური და რელიგიური უპირატესობებისგან დაცლილი ინფორმაცია მიეწოდებოდეს. არასაკმარისი ინფორმაცია და, ძირითადად, უარყოფით კონტექსში მათი წარმოჩენა, სამწუხაროდ, კვლავაც პრობლემატურია.

როგორც ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის 2017 წლის კვლევის - „სტუდენტების განწყობა უმცირესობებისადმი და მედიის როლი“[3] - შედეგად გამოვლინდა, მედიაში რელიგიური უმცირესობების საკითხების გაშუქება, ძირითადად, დანაშაულს, კონფლიქტს ან ტერორისტულ აქტებს უკავშირდება, რაც მთელი რიგი სტერეოტიპების ჩამოყალიბებას და გამყარებას უწყობს ხელს. ამავე კვლევის შედეგებში ვკითხულობთ, რომ რესპონდენტები ეთნიკურ უმცირესობებზე საუბრისას ხშირად რელიგიურ ჯგუფებს გულისხმობდნენ და პირიქით, რელიგიურ უმცირესობებზე საუბრისას - სხვა ქვეყნის მოქალაქეებს. ეს ერთგვარად მიანიშნებს იმაზე, რომ საზოგადოების ნაწილისთვის ქართველობა მართლმადიდებლობის ტოლფასია, რაც რელიგიური დისკრიმინაციის საფუძველი ხდება[4].

რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით საქართველოში არაერთი სამართალდარღვევა მოხდა[5]. იურიდიული ჩარჩოების მიუხედავად, ქართველ მუსლიმებზე თავდასხმა, მათი საჯარო შეურაცხყოფა და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია ნაცადი პრაქტიკაა[6]. სწორედ მაშინ, როცა ისლამის

[1] საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები, ხელმისაწვდომია ბმულზე
[2] კვლევა ხელმისაწვდომია ბმულზე.
[3] კვლევა ხელმისაწვდომია ბმულზე
[4] კვლევა ხელმისაწვდომია ბმულზე
[5] დამატებითი მასალები იხილეთ ბმულზე
[6] კვლევა ხელმისაწვდომია ბმულზე

მიმდევრები მსგავს მოპყრობას განიცდიან, საინტერესოა, რა მდგომარეობაა ისეთ ცალკეულ ქვეჯგუფში, რომელსაც, მაგალითად, ქალები წარმოადგენენ. საქართველოში, სადაც გენდერული როლების გადანაწილება ჯერაც ტრადიციული ღირებულებების მიხედვით ხდება, ქალები ხშირად არიან გენდერული უთანასწორობის მსხვერპლნი როგორც პირად, ისე საჯარო სივრცეებში[7]. შესაბამისად, მუსლიმი ქალების წინაშე სარწმუნოებრივი ბარიერების გარდა, გენდერული ბარიერებიც არსებობს. მათი გადალახვა ადგილობრივ დონეზე კიდევ უფრო რთულდება, რადგან არსებული პრობლემა საზოგადოების ან თვითონ შევიწროებული პირის მხრიდან ხშირად არ არის აღიარებული, დაგმობილი და რაც მთავარია, მოგვარებული.

კვლევის მიზნის - აჭარელი მუსლიმი ქალების საგანმანათლებლო, დასაქმების, პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივიზმისა და სოციალური საჭიროებების გამოსავლენად შემდეგი ამოცანები დავისახეთ:

1. კვლევის სამიზნე ჯგუფის პერსპექტივით საგანმანათლებლო (ფორმალურ და არაფორმალურ) სფეროში არსებული შესაძლებლობების, ბარიერებისა და საჭიროებების გამოვლენა;
2. კვლევის სამიზნე ჯგუფის პერსპექტივით, დასაქმების კუთხით არსებული შესაძლებლობების, ბარიერებისა და საჭიროებების გამოვლენა;
3. კვლევის სამიზნე ჯგუფის პერსპექტივით, პოლიტიკურ და სამოქალაქო აქტივიზმის კუთხით არსებული შესაძლებლობების, ბარიერებისა და საჭიროებების გამოვლენა;
4. კვლევის სამიზნე ჯგუფის პერსპექტივით, სოციალური ცხოვრების (დასვენებისა და გართობის აქტივობების) სფეროში არსებული შესაძლებლობების, ბარიერებისა და საჭიროებების გამოვლენა;
5. გამოვლენილი დამაბრკოლებელი ფაქტორების გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებებისა და აქტივობების განსაზღვრა სამიზნე ჯგუფის მიერ.

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალების საჭიროებები, ძირითადად, კვლევის თვისებრივი მიდგომის გამოყენებით შევისწავლეთ, კერძოდ, კი - ფოკუს ჯგუფის (ჯგუფური დისკუსიის) მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდი, მიზნობრივი ჯგუფის სოციალური ცხოვრების შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა.

კვლევის ფარგლებში სულ 5 ჯგუფური დისკუსია ჩატარდა, რომლის მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები შემდეგი პარამეტრებით განისაზღვრა:

- ✓ სქესი - მდედრობითი;
- ✓ ასაკი - 18 წელს ზემოთ;
- ✓ რელიგია - მუსლიმი;
- ✓ საქმიანობა - დასაქმებული/თვითდასაქმებული/სტუდენტი/პენსიონერი და ა.შ;
- ✓ ფაქტობრივი საცხოვრებელი

[7] მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ კვლევა „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“

აღნიშნული ფოკუს-ჯგუფები 4 ტერიტორიულ ერთეულში: ხულოში, ქედაში, შუახევსა და ბათუმში შეირჩა. ამ ლოკაციებზე შედგა თითო ფოკუს ჯგუფი გარდა ბათუმისა, სადაც ორგანიზებული იყო 2 შეხვედრა. კვლევაში სულ 44 მუსლიმი ქალი მონაწილეობდა (დეტალებისთვის იხილეთ ცხრილი # 1). თითოეული ფოკუს ჯგუფი საშუალოდ 1.5 – 2 საათი გრძელდებოდა. პროცესს ერთი მოდერატორი უძღვებოდა. კვლევის მონაწილეების ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, ყველა ფოკუს ჯგუფის ჩაწერა დიქტოფონზე მოხდა და თითოეული დისკუსიის დეტალური ტრანსკრიპტიც დაიწერა მოგვიანებით.

ცხრილი # 1

N	ადგილი	ფოკუს ჯგუფის რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა
1	ხულო	1	7
2	ქედა	1	14
3	ბათუმი	2	16
4	შუახევი	1	7
	სულ	5	44

მნიშვნელოვანი იყო ტერიტორიული მრავალფეროვნება, რათა მაღალმთიან აჭარაში არსებული სპეციფიკური პრობლემები სრულად ასახულიყო. აღნიშნულის უზრუნველყოფა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რამდენიმე ადმინისტრაციული ცენტრის დაფარვით მოხერხდა. საბოლოოდ, კვლევაში მონაწილეობდნენ როგორც სოფლად, ისე ქალაქში მცხოვრები ქალები, რომლებსაც მსგავსი პრობლემები განსხვავებული სიმწვავით აწუხებთ.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის ფარგლებში მხოლოდ ერთი მეთოდი იყო გამოყენებული. აღნიშნული მიდგომა სიღრმისეულად შეისწავლის საკითხს, თუმცა კვლევის განზოგადების საშუალებას არ იძლევა. კვლევაში, ძირითადად, წარმოდგენილი და გაანალიზებულია ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა სუბიექტური პერსპექტივა.

შედეგები

განათლებაზე ხელმისაწვდომობა

განათლების საკითხი ერთ-ერთი უმთავრესია აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალებისთვის, რადგან ცოდნის მიღების დონეზე არაერთი პრობლემა ექმნებათ მათ. კვლევის შედეგად ვლინდება, რომ რეგიონში როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებაზე წვდომა აქვს ყველას, განურჩევლად სქესისა და აღმსარებლობისა, თუმცა განსხვავებულია წვდომის ხარისხი. დროის სვლასთან ერთად იცვლება განათლების მოთხოვნის, მიღებისა და მიწოდების ტენდენციები, მაგრამ უცვლელია მოცემულობა, რომლის მიხედვითაც, ქალებს და, საკუთრივ, მდედრობითი სქესის მუსლიმ წარმომადგენლებს მთელი რიგი ბარიერები ექმნებათ. მათი გადალახვა მათ ინდივიდუალური კომპეტენციების დონეზე უწევთ, საზოგადოებრივ, სამთავრობო ან საკანონმდებლო რგოლში კი ამ წინაღობების გადაწყვეტა ნაკლებად ხდება. არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ სეკულარიზმისა და რელიგიის თავისუფლების დარღვევა ქართული განათლების სისტემაში აპრობირებული პრაქტიკაა, რასაც აღნიშნული ანგარიშიც ნათელჰყოფს[8].

→ **სკოლამდელი განათლება** - სკოლამდელი განათლება გოგონებისთვის და ბიჭებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია, თუმცა სწავლის ამ ეტაპზე არა გენდერული რაკურსი, არამედ ქალაქისა და სოფლის მიმართება იწევს წინ. აღსანიშნავია, რომ საბავშვო ბაღი ყველა სოფელში არ ფუნქციონირებს, რაც მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებს დამატებით პრობლემებს უქმნის. სკოლამდელი განათლების მისაღებად მათ ბავშვების სოფლიდან სოფელში ტარება უწევთ, რაც, ძირითადად, დედების (მუსლიმი ქალების) ძალისხმევით ხდება. ეს პრობლემა, ერთი მხრივ, დროის დეფიციტს, ხოლო, მეორე მხრივ, მატერიალური დანახარჯების ზრდას იწვევს და არსებულ სოციალურ ფონს კიდევ უფრო ამძიმებს. ბუნებრივია, ეს საკითხი ბათუმში მცხოვრებთათვის პრობლემას ნაკლებად წარმოადგენს, რიგი სოფლებისთვის კი საბავშვო ბაღი ფუფუნების საგანია.

> *„უნდა გაიხსნას ბაღი. ჩვენს სოფელში არ არის საბავშვო ბაღი და ბევრი ითხოვს და მეზობელ სოფელში დადიან. მთელი ნახევარი საათი მაინც უნდათ, რომ ატარონ ბავშვი და ძვირი ფუფუნებაა. არასამთავრობომ, არ ვიცი, მაგრამ სამთავრობოს ხომ შეუძლია ამ შემთხვევაში, რომ დააფინანსოს ბავშვი" (ბათუმი).*

→ **სასკოლო განათლება** - სასკოლო განათლება არის ეტაპი, რომლის დროსაც აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალები პირველად აწყდებიან სისტემურ პრობლემებს ფორმალურ დაწესებულებაში. რესპონდენტების თქმით, სწორედ ამ ეტაპზე ხდება მოსწავლეების გენდერული თუ რელიგიური ნიშნით გარჩევა. სასკოლო განათლების პერიოდი უმაღლესი განათლების წინაპირობაა, მაგრამ იმის გამო, რომ ხშირად გოგონები სრულად არ ამთავრებენ საშუალო სკოლას, შემდგომ ეტაპზე ვეღარ გადადიან. ზოგიერთი მათგანი, ნებით თუ იძულებით, ადრეულ ასაკშივე ოჯახდება და სწავლას აღარ აგრძელებს.

> *„მუსლიმი გოგო იყო და თან ღრმად მორწმუნეები. ჩხაკაურის სოფლიდან იყვნენ და სკოლა რომ დავამთავრე, მშობლებმა ბათუმშიც*

[8] კვლევა ხელმისაწვდომია ბმულზე

კი არ გამომიშვესო სასწავლებლად, - და ეს გოგო მერე გამოთხოვდა ბათუმში“ (ბათუმი).

საბავშვო ბაღის არარსებობის პრობლემა სოფლებში საჯარო სკოლებსაც ეხება. ამ მხრივ მდგომარეობა თითქმის იდენტურია.

„ჩვენ სკოლა ახლოს გვაქვს და ვინც შორს არის, სხვა სოფლიდან დადიან „ (ქედა).

ამას ემატება საზოგადოების მხრიდან სტერეოტიპული განწყობებიც, რომლებიც ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა თქმით, როგორც პირისპირ, ისე სოციალური ქსელების მეშვეობითაც ვლინდება. ქალების აღქმით, სოციუმი თვლის, რომ სოფელს, რომელიც მუსლიმი თემითაა დასახლებული, სკოლა ნაკლებად სჭირდება. ამგვარი მოსაზრება, შესაძლოა, იმითაც აიხსნას, რომ ქალაქისა და სოფლის მკვიდრებს ერთმანეთთან ხშირი და მჭიდრო კონტაქტი არა აქვთ, რაც დისტანციურად ერთმანეთის შესახებ არასწორი მოსაზრების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

„ამასწინათ სოფელ ტუნაძეებში დაიწვა ორი სკოლა და მასთან ერთად ორი სახლი. ფეისბუკზე დაედო ვიღაცას, ხულოს რათ უნდა სკოლაო, ხულოს მეჩეთიც ეყოფაო. რა თქმა უნდა, მეჩეთიც გვინდა, მაგრამ ხულოდან იმდენი სტუდენტია უკვე და იმხელა განვითარებას აღწევს ხულო სწავლის მხრივ, რომ ჩვენ მხოლოდ მეჩეთი კი არ გვწევს წინ, ჩვენი რწმენა და სარწმუნოება. ღმერთის სიყვარული გვაძლევს ძალას იმისთვის, რომ ის სკოლა დაგვეწვა, მაგრამ განათლებას მაინც ვეძებთ, რომ საიდანმე მივიღოთ" (ხულო).

სასკოლო განათლების საფეხურზე ე.წ რელიგიური ნიშნით მჩაგვრელ ჯგუფად განიხილებიან არა მასწავლებლები, არამედ თავად მოსწავლეები, რომლებიც ერთმანეთზე გარკვეულ უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ, რასაც დაპირისპირება მოსდევს. ბულინგის მსხვერპლნი, ამ შემთხვევაში, ისლამის მიმდევარი ბავშვები არიან, რომელთაც ზოგჯერ მართლმადიდებელ მოსწავლეებთან დაპირისპირება უწევთ. აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებლების დამოკიდებულება ხშირად კრიტიკულად არ განიხილება. ეს საკითხი წინ იწევს მაშინ, როცა გოგონების თავსაბურავით სკოლაში სიარული განსჯის საგანი ხდება.

„რელიგიური კუთხით თუ გაინტერესებთ, ჩვენთან, სოფელში გვაქვს განათლება მიღებული და შეჩვეული ვიყავით გარემოს. მასწავლებლებიც ორივე რელიგიის წარმომადგენლები იყვნენ და პრობლემა არ ყოფილა, მაგრამ იკვეთება ხშირად რელიგიური დაპირისპირებები ბავშვებში, ბულინგი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს განათლების მიღებას. დაცინვის მსხვერპლი ხდება მოსწავლე მისი რელიგიური მრწამსის გამო, სოციალური მდგომარეობის გამო, კიდევ მრავალი რაღაცის გამო“ (ბათუმი).

მიუხედავად ამგვარი ტენდენციისა, მშობლების ნაწილი თვლის, რომ არც მათზე და არც მათი ქალიშვილების განათლების მდგომარეობაზე სასკოლო ეტაპს, ამ ეტაპის შემადგენელ კომპონენტებს თუ გარემოს რაიმე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია.

„ის რომ ჩემი შვილი მუსლიმი ოჯახიდანაა, არ აისახება განათლებაზე".

განათლების მიღების ამ დონეზე გამოკვეთილი ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც მდედრობითი და მამრობითი სქესის მოსწავლეებს თანაბრად ეხება, სოფლის სკოლებში კვალიფიციური კადრების არარსებობაა.

→ **ინკლუზიური განათლება** - ინკლუზიური განათლების დანერგვის კუთხით შეინიშნება როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ნიშნები. თავისთავად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ ტიპის განათლება სრულიად საქართველოში და მათ შორის, აჭარაშიც დაინერგა. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებს სასკოლო ეტაპზე უკვე ეძლევათ ინკლუზიური განათლება, რასაც სახელმწიფო აფინანსებს.

> *„ყველაზე მნიშვნელოვანი მგონი ესაა და ძაან მიხარია, რომ ჩვენს რაიონში და საერთოდ, უკვე დაინერგა სკოლებში ინკლუზიური განათლება, დიდი ყურადღება ექცევა და ერთ-ერთი პრიორიტეტი ეგ არის, რომ შემოვიდა და შეგვიძლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს მივცეთ შესაბამისი განათლება და იყოს გადამზადება. ჯერ მე გადამამზადეს და მერე იმ განათლებით შემიძლია, რომ მივაწოდო მათაც შესაბამისი განათლება“ (ხულო).*

ინკლუზიური განათლება ხელმისაწვდომია გოგონებისთვისაც და ბიჭებისთვისაც, თუმცა სპეც. მასწავლებლის ფუნქციას, ძირითადად, ქალები ითავსებენ. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა თქმით, სკოლებში, მამაკაცებისთვის შეთავაზებული ხელფასი მცირეა. ასევე იკვეთება სტერეოტიპული დამოკიდებულებაც, რომ ქალებისთვის სკოლებში მასწავლებლად მუშაობა, შემოსავლის წყაროზე მეტად, თვითრეალიზების გზაა ან დროის გაყვანის საშუალება.

> *„მე ვფიქრობ, პედაგოგს არ აქვს იმხელა ხელფასი, რომ მაგით დაინტერესდნენ. სკოლებში დაბალ ხელფასზე მუშაობენ ქალები, კაცები თითზე ჩამოსათვლელია, იმიტომ რომ 200 ლარზე მამაკაცი ვერ მოცდება" (ბათუმი).*

იმის გამო, რომ ინკლუზიური სწავლების პროგრამა ახალია და თანდათან ინერგება, პრობლემა ჯერ-ჯერობით სპეციალური მასწავლებლების ნაკლებობაა.

> *„ეს ახალი პროგრამაა და სპეც. მასწავლებლების დეფიციტს განვიცდით, ყველა სკოლას არ აქვს ფუფუნება, რომ ჰყავდეს და ვისაც ჰყავს, ეგ კარგია“(ბათუმი).*

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ინკლუზიური განათლების მიღება რელიგიური ან გენდერული ნიშნით შეზღუდული არ არის და შემაფერხებელი მხოლოდ ზემოთ ნახსენები ბარიერებია.

→ **თეოლოგიური განათლება** - მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილეების აზრით, ისლამი კი არ კრძალავს, არამედ ქადაგებს განათლების მიღებას, პრობლემა სწორედ რელიგიურ-თეოლოგიური განათლების დონეზე იქმნება, რაც მათთვის საკმაოდ მწვავე პრობლემას წარმოადგენს. იმის გამო, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა თქმით, სახელმწიფო არ უშვებს, შეიქმნას დაწესებულება, სადაც რელიგიურ განათლებას მიიღებენ და თეოლოგიურ ლიტერატურას თარგმნიან, ახალგაზრდობის დიდ ნაწილს ისლამის მიმდევარ სახელმწიფოებში უწევთ სასწავლებლად წასვლა, სადაც ისინი ენობრივ, კულტურულ და ეკონომიკურ ბარიერებს აწყდებიან.

„ჩემი შეხედულებით, როგორც ასეთი, მუსლიმანობის მხრივ, რელიგიური განათლება საქართველოში მიიღოს, ეგ არ არის. რელიგიურად რომ ჩამოყალიბდეს... როგორც ასეთი, ქრისტიანობა საქართველოში თავიდან ბოლომდე შეუძლია რომ ისწავლოს, ასეთი განათლება ჩვენ საქართველოში არ გვაქვს, ამიტომ მეც ორი შვილის დედა ვარ და ჩემმა შვილმა საზღვარგარეთ მიიღო რელიგიური განათლება“ (ხულო).

არსებობს პანსიონი, რომელიც სოციალური პრობლემების მქონე ახალგაზრდებს უფასოდ ამზადებს უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებლად, თუმცა აღსანიშნავია, რომ ასეთი პანსიონები მხოლოდ ვაჟებისთვისაა ხელმისაწვდომი და იქ როგორც საერო, ისე სასულიერო განათლება მიიღება. თუმცა ეს არასაკმარისია, დამატება კი, ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა თქმით, ვერ ხერხდება. მიზეზად ამ ტიპის სასულიერო სასწავლებლების მიმართ არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულება სახელდება, როგორც ადგილობრივი მართლმადიდებლების, ისე ხელისუფლების მხრიდან. სტერეოტიპული დამოკიდებულება იმ წარმოდგენებში ვლინდება, რომლის მიხედვითაც ამგვარი სასწავლებლები ბავშვებს „გონებას ურევენ“ და რელიგიური დოგმატიკით ზრდიან. როგორც ზემოთ აღინიშნა, პანსიონში თეოლოგიურ განათლებას მხოლოდ მამრობითი სქესის მოსწავლეები იღებენ, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ამ მიმართულებით რელიგიური განათლება მდედრობითი სქესის წარმომადგენელებისთვის კიდევ უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომია. გოგონები, ერთი მხრივ, შევიწროვებულნი არიან საჯარო სკოლების, ხოლო მეორე მხრივ, სასულიერო სასწავლებლების მიერ, რაც მათ მართლმადიდებელ ან მამრობითი სქესის (როგორც მართლმადიდებელ, ისე მუსლიმ) წარმომადგენლებთან არათანაბარ მდგომარეობაში ამყოფებს.

„რამდენი პანსიონიც იყო აქ, ვაჟთა პანსიონია, იქიდან ყველამ, 40 მოსწავლედან 40-ვემ უმაღლესის კარებში შეაბიჯა ფეხი. ეს კარგი ხელშეწყობაა“ (ხულო).

→ **უმაღლესი და პროფესიული განათლება** - აჭარაში მუსლიმ ქალთა საჭიროებების კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლის შემდგომი განათლების მიღებისას, ქალები პროფესიულ განათლებას ნაკლებად განიხილავენ განათლების მიღების შესაძლებლობად და პრიორიტეტულად უმაღლესი განათლება მიაჩნიათ.

შედეგები აჩვენებს, რომ ეკონომიკური მდგომარეობა მჭიდრო კავშირშია უმაღლესი განათლების მიღებასთან. ვისაც უკეთესი მატერიალური შესაძლებლობები აქვს, უმაღლეს განათლებაზე უფრო მეტად მიუწვდებათ ხელი, ხოლო დანარჩენებს - ნაკლებად, თუმცა ასეთ შემთხვევებში გამოსავლად სახელდება პროგრამა, რომელიც მაღალმთიანი რეგიონების სტუდენტებს სწავლის საფასურს სრულად უფინანსებს[9]. მსგავსი პროგრამების არსებობის მიუხედავად, აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალების აზრით, ეს საკმარისი არ არის. სოციალური ფონი იმდენად აისახება განათლების მიღების ხარისხსა და ინტენსივობაზე, რომ ზოგიერთი მოსწავლე უმაღლესში არ აბარებს და თურქეთში მიდის სამუშაოდ.

პრობლემების მრავალფეროვნების მიუხედავად, კვლევის მონაწილენი თვლიან, რომ განათლების მიღების შესაძლებლობები გოგონებისთვის და ბიჭებისთვის შედარებით გათანაბრებულია დღეს,

[9] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე

ვიდრე ადრე, როცა ამ მხრივ კორუფცია მეფობდა. მის აღმოფხვრას კომპიუტერისა და ინტერნეტის არსებობამაც შეწუყო ხელი და განათლება უფრო ხელმისაწვდომი გახადა.

უმაღლესი განათლების არმიღების მთავარი პრობლემა სოციალური მდგომარეობაა, თუმცა იკვეთება გენდერული ასპექტებიც და დასაწყისშივე აღნიშნული ფაქტი, რომ გოგონების ნაწილი სკოლას არ ამთავრებს და, შესაბამისად, ვერც უმაღლეს სასწავლებელში აბარებს. მეორე მხრივ, კი აღინიშნება, რომ უკვე დაოჯახებული ქალები უფრო აქტიურად ერთვებიან საგანმანათლებლო აქტივობებში, ვიდრე ამას ქორწინებამდე აკეთებდნენ. ეს უკანასკნელი შეიძლება აიხსნას დამოკიდებულებების, ზოგადი მოცემულობისა და პირობების ცვლილებით. დღესდღეობით ინტერნეტი და სხვა საინფორმაციო საშუალებები წინა წლებთან შედარებით უფრო ხელმისაწვდომია, რაც ამ მხრივ განვითარების პროცესს უწყობს ხელს. აღნიშნული ცვლილება კი მუსლიმი ქალების პიროვნულ და კარიერულ გაძლიერებაზე აისახა. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა თქმით, თაობებს შორის დამოკიდებულებები იცვლება. მაგალითად, ძველი თაობის მშობლები უფრო კონსერვატულად უდგებიან გოგონების განათლების საკითხს მაშინ, როცა ახალგაზრდა ქმრები ხელს უწყობენ მათ.

> *„სასიამოვნო მომენტია ეს, რომ, მაგალითად, გათხოვილია, სამი შვილი ჰყავს და თავსაფრით სწავლობს ბიოლოგიის ფაკულტეტზე, მეორე კურსზეა და ესეთი რამეები იშვიათია სახელმწიფო უნივერსიტეტებში რომ ხედავდე, მარა ჩვენი თაობა უკვე 25 წელს მიღწეული და 25 წლამდე პერიოდის ქალბატონებისთვის უკვე ხელმისაწვდომია მათთვის ყველაფერი. ღია სახელმწიფო განათლებაც, კერძოც და პროფესიულიც“ (ბათუმი).*

როგორც ციტატიდან ირკვევა, პროფესიული სასწავლებლები ცოდნის მიღების ერთ-ერთ შესაძლებლობად განიხილება, თუმცა პრიორიტეტი მაინც უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომს ენიჭება. ეს კი, მონაწილეთა თქმით, არც ისე იაფი და მარტივად ხელმისაწვდომია მათთვის და მათი შვილებისთვის.

> *„ბაღანა სასულიერეროში მივიყვანე და მასწავლებლები დამესივნენ ფუტკრებივით, იქ რამ მიგაყვანინა, ჩვენ დავეხმარებოდითო. რა ვქნა, არ მქონდა საშუალება. მერე გამოჩნდა რაღაც-რაღაც დაბალი სასწავლებლები, კოლეჯი, ისა და რამდენი ფული დამეხარჯა, რომ დიპლომი ამეღო და რაღაცა ბაღანას ნორმალურად ემუშავა“ (ხულო).*

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ამ მხრივ რაიმე გენდერული ან რელიგიური ნიშნით შევიწროება არ იკვეთება და ამ ტიპის განათლების შესაძლებლობა ყველა მოსურნესთვის ხელმისაწვდომია.

→ **არაფორმალური განათლება** - ინდივიდუალური და სოციალური განათლების ნებისმიერი დაგეგმილი პროგრამა, რომელიც არ არის ოფიციალური სასწავლო პროგრამების ნაწილი და მიზნად ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას ისახავს[10]. მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების ის ნაწილი, რომლის მიღებითაც აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალები არიან დაკავებული. სოფელში მაცხოვრებელთათვის ტრენინგებზე დასწრება შეიძლება როგორც ადგილობრივად, ისე ქალაქში. არსებული გამოცდილებიდან ირკვევა, რომ, ძირითადად, ტარდება თემატური ტრენინგები, როგორიცაა: საგანგებო სიტუაციებთან გამკლავება, სპეციალური საჭიროების

[10] განმარტება ხელმისაწვდომია ბმულზე

მქონე პირებთან მუშაობა, კულინარია და ა.შ. თუმცა ზოგან ხდება ისეთი სოციალური საკითხების განხილვაც, როგორიცაა, მაგალითად, ნაადრევი ქორწინება, შრომითი უფლებები და ა.შ

არაფორმალური განათლების მიღების ხარისხი და ინტენსივობა ბათუმში უფრო მაღალია, ვიდრე მის გარშემო არსებულ სოფლებში. აქ სასკოლო თუ შემდეგ დონეებზე ნაკლებად განიცდიან პროექტების დეფიციტს, რაც, მეტწილად, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ხდება.

> *„ჩემ სკოლაში მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაცია World Vision და ისინი აკეთებდნენ [ტრენინგებს] და ერთი წელი მეც ვიყავი ჩვენი სკოლის კლუბში და კლუბის ხელმძღვანელი ვიყავი, ვაკეთებდი ტრენინგებს აქტუალურ თემაზე: არ მოწიო, აქტიური ცხოვრებისკენ იყავი" (ბათუმი).*

კვლევისას აღმოჩნდა, რომ ქალაქში მცხოვრები მუსლიმი ქალები უფრო მეტად გეგმავენ და ახორციელებენ არაფორმალური განათლების მიღებისკენ მიმართულ ღონისძიებებს, ვიდრე სოფლად მაცხოვრებლები. ეს უკანასკნელნი, ძირითადად, მათთვის შეთავაზებულ ტრენინგ -კურსებს გადიან.

→ **სქესი და განათლება** - კვლევაში მონაწილეები ერთხმად თანხმდებიან, რომ ისლამი ხელს არ უშლის სწავლას, უმაღლესში ჩაბარებას და, ზოგადად, განათლების მიღებას, რაც თანაბრად ვრცელდება მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებზე. ამგვარი მოსაზრებით, ფოკუს ჯგუფის წევრები გარკვეულწილად გაემიჯნენ აზრს, რომ რელიგია მათი ცხოვრების, აქტივობის, ნებისმიერი ქცევის განმსაზღვრელია და აღმსარებლობას შემზღუდველი ფუნქცია აქვს. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის მხრიდან რაიმე აკრძალვა არ ხდება, არსებობს ერთგვარი თვითდისკრიმინაციული მიდგომა. ამ მიდგომის მიხედვით, ქალი სწავლობს არა კარიერის შესაქმნელად და შემოსავლების გზების ძიებისთვის, არამედ ოჯახისთვის, რომ ცოდნა შვილებს გადასცეს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მიდგომით მხოლოდ აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალები არ გამოირჩევიან და ეს ტენდენცია, ზოგადად, ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიებზეც ვრცელდება[11].

> *„დავამატებ, რომ ისლამი არ კრძალავს, არ უშვებს ქალების შეზღუდვას განათლებასთან დაკავშირებით. პირიქით, ისლამი ქალს უწყობს ხელს, რომ მან მიიღოს განათლება, რადგან ის არის დედა და მას უფლება აქვს იმის, რომ შვილს მისცეს განათლება მუცლიდანვე, მას ჩაუნერგოს, რომ ის უნდა იყოს განათლებული, უმაღლეს განათლებული და არ უნდა ჰქონდეს მას ჩამორჩენა იმის გამო, რომ ის მუსლიმანია. პირიქით, ისლამი ქალის განათლებას ძალიან დიდად უწყობს ხელს და არ არის არანაირი შეზღუდვა" (ხულო).*

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა აზრით, გენდერული სტერეოტიპები მაინც ძლიერია და მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში უკვე დაოჯახებული ქალებიც აბარებენ და სრულფასოვნად აგრძელებენ სწავლას, ჯერაც არსებობს ოჯახები, სადაც მდედრობითი სქესის შვილებს განათლების მიღებაში ხელს არ უწყობენ.

> *„იმის თქმა მინდოდა, რომ მშობლები უწყობენ შვილებს ხელს, რა თქმა უნდა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, არის კატეგორია მშობლებისა,*

[11] კვლევა ხელმისაწვდომია ბმულზე

რომლებსაც არ სურთ შვილებმა განათლება მიიღონ. ძირითადად, გოგოებთან მიმართებაში“ (ბათუმი).

იმ შემთხვევაში, თუკი ოჯახი სურვილს გამოთქვამს, რომ მისმა შვილმა ისწავლოს, აჭარის მუსლიმ მოსახლეობაში არსებობს გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ახალგაზრდა ქალების განათლებას მხარს არ უჭერენ და მათ სტიგმატიზაციას ახდენენ.

„მან თქვა, რომ ჩემს სოფელში რომ ვთქვი, მე სწავლა მინდა, მხოლოდ ოჯახმა შემიწყო ხელიო და იმის გარდა სამეზობლო ჭორაობდაო“ (ბათუმი).

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ არსებული ბარიერების მიუხედავად, განათლების მიღების შესაძლებელი არის, თუმცა წარმატების მიღწევა ინდივიდუალიზებულია.

„მე ვთვლი, რომ ადამიანს ვისაც განათლება უნდა, არ აქვს სარწმუნოებას მნიშვნელობა. არ ვართ ამ საკითხში შეზღუდული აჭარაში. არ მქონია პრობლემა არც უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით, არც რომელიმე პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით. არ მქონია მსგავსი შეზღუდვა. ანუ, ყველას აქვს უფლება, მიიღოს როგორც უმაღლესი განათლება, ისე რა მიმართულებითაც მათ უნდათ“ (ხულო).

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განათლების მიღება დამოკიდებულია ინდივიდის მოტივაციაზე და არ არის მხარდაჭერილი არსებული სოციალური გარემოსა და სისტემის მხრიდან.

→ **სივრცე/ინფრასტრუქტურა და განათლება** - განათლების მიღებას ხელს უშლის კლიმატური პირობებიც. მაღალმთიან აჭარაში მკაცრი ზამთარი იცის, რის გამოც ბავშვები წელიწადის ამ დროს ზოგ სოფელში სკოლაში წასვლას ვერ ახერხებენ და გაკვეთილების გაცდენა უწევთ.

„წარმოიდგინე შენ, მოსწავლე 17 დღის განმავლობაში სკოლაში ვერ მივა და სკოლაში გაკვეთილს ვერ დაესწრება, გზა იმ დონეზე ვერ გაიწმინდება. ვერ ხერხდება, ფაქტიურად, დიდთოვლობის გამო. სად მიიღოს ამან განათლება?“ (ხულო).

მდებარეობა ხელისშემშლელია იმ მხრივაც, რომ სოფლების ნაწილი ტერიტორიულ ერთეულზე დასახლებულია ფართოდ, ერთგვარი გაბნეულობით და ზოგიერთი ოჯახი სკოლიდან ერთი კილომეტრის დაშორებით ცხოვრობს, რაც მოსწავლეებს ხელს უშლის გადაადგილებაში.

„ჩვენ სკოლა ახლოს გვაქვს და ვინც შორს არის, სხვა სოფლიდან დადიან“ (ქედა).

განათლების მიღების შესაძლებლობებს ადგილმდებარეობა იმ მხრივაც განსაზღვრავს, რომ განაპირა ნაწილში მცხოვრებლები უფრო მოწყვეტილნი არიან საგანმანათლებლო საშუალებებს, ვიდრე ცენტრში დასახლებული მოსწავლეები. ეს ეხება როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებაში ჩართულებს. ტრენინგები და სხვადასხვა პროექტები ქალაქში უფროა აკუმულირებული, ვიდრე სოფლად.

→ **თავსაბურავი და განათლება** - მიუხედავად იმისა, რომ ქალების აქტიურობის დონე გაზრდილია, მაინც არსებობს პრობლემები, რომლებიც მათ განათლების მიღებისას ხვდებათ. ერთ-

ერთი ასეთი უმთავრესი წინაღობა თავსაფარია. მოკვლევისას რესპონდენტებმა დაასახელეს არაერთი შემთხვევა, რომელიც საშუალო სკოლებში თავსაფრის გამო გოგონების დისკრიმინაციას ადასტურებს.

ვინც სასწავლო დაწესებულებაში თავსაფრით დადის, მეტი ბარიერი აქვს სხვებთან დამოკიდებულებაში, ვიდრე მას, ვისაც ვიზუალზე არ ეტყობა, რომ მუსლიმია. მონაწილენი თვლიან, რომ ყველაფრის თავი და თავი ადამიანების ცნობიერებაა, რომლის შესაცვლელადაც აუცილებელია თავსაფრიანი ქალების მიმართ არსებული სტერეოტიპების ნგრევა და ღიაობის გაზრდა. როგორც გაირკვა, ეს პრობლემა მაღალმთიან ნაწილში მცხოვრებ ქალებს უფრო მეტად ეხებათ. თავსაფრის ტარება ხშირად სასირცხვილოდ ითვლება და სტიგმატიზაციის მიზეზი ხდება, რაც ერთგვარად აბრკოლებს იმ გოგონებს, რომლებსაც თავსაფრის ტარება სურთ.

> *„ბევრი იყო, თუნდაც თავსაფრიანი, რომელიც ფიქრობდა, რომ თავსაფრით ვერ ივლიდა უნივერსიტეტში, მაგრამ ამის შემყურე, კიდევ ჩემი მამიდაშვილის და კიდევ ბევრი დაემატა. ჩემმა მამიდაშვილმა პირველად დაიფარა თავზე და აჩვენა ყველას, რომ ასე სწავლა შეიძლება, ამით ბევრს მისცა მაგალითი" (ბათუმი).*
>
> *„ბევრი თავსაფრიანი ქალი იკავებდა თავს, ბარიერი ეგეც იყო" (ბათუმი).*
>
> *„მეც პირველ კურსზე მაგიტომ ვერ დავიფარე, მრცხვენოდა და ვერ გადავდგი ეგ ნაბიჯი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შეიძლება. ჯერ ჩემმა მამიდაშვილმა გააკეთა პირველად და არაფერი პრობლემა არ შექმნია არც ლექტორების მხრიდან, არც არაფერი. პირიქით, იმას მეტი დაფასება ჰქონდა" (ბათუმი).*

დროის სვლასთან ერთად, თავსაფარი ბარიერის ნაცვლად სიამაყისა და გამბედაობის სიმბოლო ხდება. ისინი კი, ვინც ამ ბარიერს გადალახავენ, თავიანთ თემში სამაგალითოები ხდებიან იმათთვის, ვისაც ამ ნაბიჯის გადადგმა უჭირს.

> *„თავს კი არ ვიქებ, მაგრამ მეამაყება, რომ მეორე კურსიდან თავსაფარი დავიფარე და ჩემ მაგალითზე ბევრმა გააკეთა ასე და მეუბნებიან, შენ იყავი მაგალითიო. გავიზარდეთ, გავმრავლდით, გავბევრდით" (ბათუმი).*

თუ კვლევის მონაწილეთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ თავსაფარი ადრე უფრო წარმოადგენდა ბარიერს, ვიდრე ახლა, მეორე, უფრო ასაკოვანი ჯგუფისთვის, ეს საკითხი დღეს კიდევ უფრო პრობლემატურია.

> *„ჩემ დროს თავსაფრიანები არ მყოლია. მაშინ, ჯერ ერთი, მე ისეთ ეპოქაში მომიწია ბავშვობა, რომ ათეიზმი იყო გამეფებული, მაგრამ რაც არ უნდა ის დრო დადგეს, თუ ადამიანი პრინციპული და მიზანდასახულია, მას ვერაფერი შეაჩერებს. მე მეათე-მეცხრე კლასელებს ვასწავლიდი და იქ თავსაფარზე საერთოდ ლაპარაკიც არ იყო. არც არავინ კრძალავდა, არც არავინ დადიოდა. რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილების მიხედვით განსხვავება ახლა შეიმჩნევა რატომღაც, ადრე არ იყო" (ბათუმი).*

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, საჯარო სკოლებში რელიგიური თანასწორობისა და ნეიტრალიტეტის დაცვა აუცილებელია, რაც საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსებისა და ინდოქტრინაციის აკრძალვაში გამოიხატება. კანონი ამავდროულად მხარს უჭერს ინდივიდუალურ რელიგიურ გამოხატვას[12] (მუხლი 18. რწმენის თავისუფლება).

მიუხედავად ყველაფრისა, განათლების საკითხის განხილვისას, მთავარ პრობლემად სწორედ თავსაფრის ტარება რჩება, რადგან აჭარის ტერიტორიაზე მრავლადაა მაგალითები, თუ როგორ ავიწროებენ მოსწავლეებს მათი გარეგნული იერის, კონკრეტულად კი - თავსაბურავის გამო.

დასაქმების შესაძლებლობა

დასაქმება საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. დროთა განმავლობაში იმართება დასაქმების ფორუმები, აქციები, ინერგება პროგრამები და ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად სახელმწიფოს მხრიდან ტარდება მთელი რიგი რეფორმები თუ ღონისძიებები, თუმცა ვითარება თითქმის უცვლელი რჩება. ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ ჩატარებულ კვლევაში „თაობა გარდამავალ პერიოდში - ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო" [13] ვკითხულობთ: „ახალგაზრდობის 85% ფიქრობს, რომ დასაქმების კუთხით ქვეყანაში საგანგაშო მდგომარეობაა“. ამ მხრივ არც აჭარის რეგიონია გამონაკლისი. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა თქმით, მაღალმთიანი ნაწილის შემოსავლის ძირითადი წყარო სოფლის მეურნეობაა, ხოლო ცენტრისთვის - ტურიზმი და უცხოური ინვესტიციები. აქაც, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, იკვეთება ქალებისა და მამაკაცების პროფესიები, რომლებიც მკაცრად არის გამიჯნული, თუმცა ამ ორს შორის ზღვარი მაღალმთიან აჭარაში იქ იშლება, სადაც თამბაქოს, სიმინდის და ა.შ მოყვანაში ორივე სქესის წარმომადგენელთა მონაწილეობას ეხება საქმე. კვლევის პროცესში გამოვლენილი ტენდენციის მიხედვით, ქალების ძირითად საქმიანობად ფოკუს ჯგუფის მონაწილეები პედაგოგიკასა და მედიცინას ასახელებენ, ყველა დანარჩენს კაცები კი ითავსებენ.

იმის გამო, რომ რეგიონში დასაქმების პრობლემა მწვავედ დგას, მოსახლეობის ნაწილი თურქეთში მიდის სამუშაოდ. შრომით მიგრაციას, უმეტესად, არა ქალები, არამედ მამაკაცები ეწევიან.

> *"ახლა ხო ბევრი ქალი ვართ, ასე რომ დაუყვე, ამდენ კაცს ვერ [აათავებ] შეაგროვებ სოფელში იმიტომ, რომ კაცები მუშაობენ. თურქეთში არიან კაცები" (შუახევი).*

→ **დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები** - კვლევის შედეგად ირკვევა, რომ აჭარაში დასაქმების ყველაზე მეტი შანსი რელიგიური უმრავლესობის წარმომადგენელ მამაკაცებს აქვთ. ყველაფერთან ერთად იკვეთება რელიგიური ნიშნით სხვადასხვაობის ფაქტორიც, რაც გულისხმობს, რომ დასაქმების შესაძლებლობების ვერტიკალზე მეორე ადგილს მუსლიმი მამაკაცები იკავებენ. ბოლო საფეხურზე განიხილებიან ქალები, რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ შრომით ბაზარზე ისინი ორმაგი ბარიერის წინაშე დგანან - ერთი მხრივ, წარმოადგენენ მდედრობით სქესს, ხოლო, მეორე მხრივ, ისლამის მიმდევრები არიან და თავსაბურავს ატარებენ.

[12] დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე
[13] კვლევა ხელმისაწვდომია ბმულზე

სტერეოტიპული გარემოს გარდა, პრობლემის ერთ-ერთი საფუძველი ერთგვარი თვითდისკრიმინაციაც გახლავთ, რასაც ქალები, სხვა შემთხვევების მსგავსად, ამ საკითხშიც ეწევიან. შეინიშნება ტენდენცია, რომ დასაქმების საკითხზე მსჯელობისას, კვლევის მონაწილეებს აქცენტი, ძირითადად, მამაკაცებზე გადააქვთ და მათ კონკრეტულ შემთხვევებს განიხილავენ, ანუ დომინანტად მაინც მამრობითი სქესის წარმომადგენლებს მიიჩნევენ. როგორც მათი მსჯელობიდან იკვეთება, დასაქმების საკითხის განხილვისას ეპიცენტრში მამრობითი სქესის წარმომადგენლები იმიტომ არიან, რომ მათი დასაქმების შესაძლებლობა ბევრად მეტია.

> *„კაცებიც კი ვერ მუშაობენ, თუ მუშაობენ რაიონში ისევ, ქალაქში. სოფელში სკოლის გარდა, ერთი პოლიციის შენობაა და იქ არ მუშაობს არც ერთი ქალი" (ბათუმი).*

მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში უცხოელი ინვესტორების რაოდენობა საკმაოდ დიდია, დასაქმების პრობლემა მაინც მწვავედ დგას, რადგან, კვლევაში მონაწილეთა აზრით, ყველა ინვესტორი იაფ მუშა-ხელს ეძებს და ადგილობრივებს ცუდ სამუშაო პირობებს სთავაზობს. ამის გამო მოსახლეობის დიდ ნაწილს ემიგრაციაში უწევს წასვლა. დასაქმების მეტი შესაძლებლობა გავლენიანი სანაცნობო/სანათესაო წრის მქონეთ აქვთ და კიდევ იმათ, ვინც უკეთესი განათლების მიღება შეძლო და მომსახურების სფეროში არიან ჩართული. ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალების თქმით, ეს მათთვის დამატებითი ბარიერი ხდება დასაქმების ისედაც პრობლემურ არეალში.

აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალებისთვის დასაქმებასთან შედარებით თვითდასაქმების უფრო მეტი შესაძლებლობებია - ისინი სოფლის მეურნეობაში არიან ჩაბმული (პროდუქციის მოყვანასა და რეალიზებაში). თუმცა, კვლევის მონაწილეთა თქმით, შრომა შესაბამისად არ ფასდება. ადგილობრივად მოყვანილი პროდუქცია მაღალ ფასში არ იყიდება და ხშირად მისი შენახვა მთელი ზამთრის განმავლობაში უწევთ იმ იმედით, რომ რომელიმე კერძო კომპანია ან სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმო ოდესმე ნორმალურ ფასად ჩაიბარებს.

> *„სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი ჩვენთან არის თამბაქო. ეს შეიძლება, რომ ჩვენთან მოიყვანო. ამას რომ ყურადღება მიექცეოდეს და ნორმალური ფასით ჩაბარდებოდეს, ეს იქნება კაი შეღავათი სოფლისთვის" (ქედა).*

აჭარელი მუსლიმი ქალების დასაქმების ან/და თვითდასაქმების შესაძლებლობებს ზოგჯერ ოჯახური მდგომარეობაც განსაზღვრავს. ოჯახი ქალისთვის, შესაძლოა, დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცეს დასაქმებისა და მუშაობის პროცესში. ერთი მხრივ, საქმე გვაქვს ოჯახის მხრიდან წამოყენებულ კონკრეტულ შეზღუდვებსა თუ აკრძალვებთან, მეორე მხრივ, კი - დამსაქმებლის მიერ შევიწროების შემთხვევებთან, რაც ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა თქმით, საკმაოდ ხშირია.

> *„დასაქმების არეალი უფრო მოკლეა, როცა სამი და ოთხი შვილის დედა ხარ. ოთხი შვილის დედა ვერ ივლის ყოველ დღე სამსახურში" (ბათუმი).*

→ **განათლება და სოციალური კაპიტალი, როგორც დასაქმების გარანტი** - პირველი უმთავრესი ინდიკატორი, რომელიც აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალების აზრით, დასაქმებისას მათი ან სხვების წარმატებას განაპირობებს, არის განათლება. განათლებულად კი ის ადამიანი ითვლება, ვისაც უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი აქვს.

„რა თქმა უნდა, ვინმეს თუ მეტი განათლება აქვს, მეტად ეცდება, რომ დასაქმდეს" (ხულო).

მიუხედავად იმისა, რომ დიპლომიანები პრივილეგირებულ ჯგუფებად მოიაზრებიან, დასაქმების პრობლემა იმდენად დიდია, რომ შრომით ბაზარზე ხშირად მათი ინტეგრირებაც ჭირს.

„არის უმაღლესდამთავრებული იმდენი, რომ ვერ ახერხებს დასაქმებას. რომ გავივლი, გული მწყდება, რამდენი უმაღლესდამთავრებულია და ვერ მუშაობს. დამდგარია და 10 ლარზე, 20 ლარზე მუშაობს" (ხულო).

ქალები, რომლებმაც განათლების მიღება მოახერხეს, ძირითადად, სკოლებში ან სამედიცინო პუნქტებში მუშაობენ, რადგან სოფელში დასაქმების სხვა არეალი, ფაქტობრივად, არ არსებობს.

„უფრო მეტად სოფელში, ვინც ნასწავლია, სკოლაში ის მუშაობს მასწავლებლად. სხვაგან სად უნდა დასაქმდნენ?" (შუახევი).

თითქმის იგივე ვითარებაა ქალაქშიც, მაგრამ ამის მიუხედავად ქალები მაინც ფიქრობენ, რომ ცოდნა დასაქმების მთავარი გარანტორია.

„უნდა შეიარაღდე ცოდნით და იბრძოლო"(ბათუმი).

მეორე, ასევე პრივილეგირებული ჯგუფი, რომელსაც დასაქმების შედარებით მეტი შესაძლებლობა აქვს, ძლიერი სოციალური კაპიტალის მქონე ადამიანებისგან შედგება. გავლენიანი სანაცნობო წრე ხშირად კარიერული მდგომარეობის განმსაზღვრელია, რაც, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა თქმით, არა მხოლოდ აჭარის, არამედ, ზოგადად, საქართველოს რეალობისთვისაც არის დამახასიათებელი. ნეპოტიზმი და პროტექციონიზმი დასაქმების მნიშვნელოვან ფაქტორად სახელდება.

„ყველას თავისი ჰყავს დასაქმებული" (ხულო).

„თუ დიდი კაცი გყავს სადმე სათავეში (იცინიან)... თუ სათავეში გყავს ვინმე ისეთი, რომ აქვს შენი დასაქმების საშუალება" (ხულო).

„ვისაც სანაცნობო ჰყავს, ვინც დაასაქმებს, იმათ მეტი აქვთ შანსი. მე თუ ნაცნობი მყავს, მუშაობას უფრო მარტივად დავიწყებ, ვიდრე თქვენ. ეს ასეა (იცინის). შეიძლება, საერთოდ, სხვა ფაკულტეტის სტუდენტს უფრო მეტი შანსი ჰქონდეს მაგ მიზეზით, ვიდრე მე, რომელიც ზუსტად ამ პროფესიაზე ვსწავლობ" (ბათუმი).

→ **დასაქმება და ამ მხრივ გამოჩენილი ინიციატივები** - ისევე, როგორც ბევრ სხვა საკითხში, აქაც იკვეთება ტენდენცია, რომ აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალები პრობლემების გადაჭრის საქმეში, ძირითადად, მთავრობის იმედად არიან. მათი პასიური მდგომარეობა შესაბამისი რესურსების არარსებობას მიეწერება. ერთადერთი, რაც დასაქმების ხელმისაწვდომობისთვის კვლევის მონაწილეთა მხრიდან კეთდება, გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ ერთმანეთის ინფორმირებაა.

„ინფორმაციის გადაცემა, რომ ვაკანსიაა, თორე სხვა არაფერი. შესაძლებლობა არ გვაქვს, რომ საწარმო ან რაღაც გავხსნათ და დავასაქმოთ ვინმე" (ხულო).

მოსახლეობის აქტივიზმი გამოვლინდა კერძო შემთხვევებში, როცა უკვე არსებულ სამუშაოებში (ჰესის მშენებლობა) მონაწილეობის მიღებას ეცადნენ, მაგრამ შედეგად, ძირითადად, მაინც მამაკაცები დასაქმდნენ და არა ქალები.

აღსანიშნავია, რომ ქალაქში მცხოვრები მუსლიმი ქალები, სოფლად მაცხოვრებლებთან შედარებით, მეტ აქტიურობას იჩენენ, რაც, უმეტესად, იმ პროექტების დამსახურებაა, რომლებშიც ისინი მონაწილეობენ. ეს პროექტები, უმთავრესად, ქალაქში ხორციელდება. ასე, რომ ბათუმში მყოფი მუსლიმი ქალები ცდილობენ, სოფლებში მაცხოვრებლები თავიანთ საქმიანობაში ჩართონ და მატერიალურად დაეხმარონ.

> *„ჩვენ ვცდილობთ, თუ პატარა პროექტებს მოვიგებთ, იქ დავასაქმოთ..” (ხულო).*

დასაქმების პერსპექტივის გაზრდაში, აჭარაში მცხოვრები ქალების ნაწილი, საკუთარი როლის ნაცვლად, მიიჩნევს, რომ, პირველ რიგში, აუცილებელია დასაქმდეს მამაკაცი, რომელიც მერე დანარჩენებისთვისაც გაკვალავს გზას და სტერეოტიპებს დაამსხვრევს. ამგვარი მსჯელობა კი, თავისთავად, უფრო აძლიერებს არსებულ სტერეოტიპს, რომ ქალების წინსვლა მამაკაცზეა დამოკიდებული.

> *„ჯერ მამაკაცი მუსლიმანი უნდა მოხვდეს სადღაც თანამდებობაზე, რომ აგიტაცია გააკეთოს, მუსლიმანი ქალიც რომ დასაქმდეს და საზოგადოებამ მიიღოს. შეიძლება პარლამენტში იყოს ან სადმე” (ბათუმი).*

ეს გვაფიქრებინებს, რომ ქალები თავიანთი პრობლემების მოგვარებაში საკუთარ როლს ნაკლებად ხედავენ და თვლიან, რომ მამაკაცის დახმარება სჭირდებათ.

→ **თავსაფარი, როგორც დასაქმების უმთავრესი ბარიერი** - კვლევის მონაწილეების აზრით, რელიგიური ან სქესობრივი ნიშნით ბარიერი დასაქმებისას ხშირად არ არსებობს, მაგრამ პრობლემა აუცილებლად იქმნება, თუ ქალი თავსაბურავს ატარებს. მათი თქმით, ვისაც თავსაფარი არ ახურავს, დასაქმების უფრო მეტი შანსი აქვს, ვიდრე მათივე აღმსარებლობის თავსაბურავიან ქალებს.

რელიგიური ნიშნით თანამშრომლებს აჭარაში მხოლოდ სასულიერო სასწავლებელში არჩევენ, სადაც, ძირითადად, მართლმადიდებლურად მონათლულ ადამიანებს იღებენ, სხვა სტრუქტურაში კი ეს ნაკლებად შეინიშნება. როგორც წესი, რეზიუმეში მოქალაქეები რელიგიას არ უთითებენ და აღმსარებლობაც, ძირითადად, გარეგნული იერით შეიძლება (თავსაბურავით) გამოიხატოს. კვლევის მსვლელობისას წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა, რომლის მიხედვით მონაწილეთა უკვე დასაქმებული ნაწილი თვლიდა, რომ რელიგია ბარიერი არაა. ისინი კი, ვინც დიასახლისობით არიან დაკავებული და თანაც თავსაბურავს ატარებენ, ამბობდნენ, რომ სწორედ რელიგიური ნიშნით ყოველ ნაბიჯზე აწყდებიან დისკრიმინაციას, რაც მათი სამსახურში არ მიღებით გამოიხატება.

დასაქმება ბათუმში შედარებით ნაკლები პრობლემაა, რადგან ქალაქში, სოფელთან შედარებით, მეტი შანსია ამის, თუმცა თავსაფარი აქაც ბარიერია. ქალაქის საჯარო სამსახურებში თავსაბურავიანი ქალების რიცხვი იმდენად მცირეა, რომ დანარჩენებსაც ეკარგებათ დასაქმების იმედი. ქალების დასასაქმებელ არეალად, ძირითადად, სკოლები და მომსახურების სფერო განიხილება, ამიტომ აქცენტიც სწორედ ამ სფეროებზე გადატანილი. როგორც ჩანს, თავსაფრიანი ქალების დასაქმება განსაკუთრებით კერძო სკოლებში ჭირს, რადგან კომერციული მიზნების გამო, მფლობელები ამგვარი

ვიზუალის მქონე მასწავლებლებს არ იღებენ, რათა მშობლების უკმაყოფილებას აარიდონ თავი და რეპუტაცია შეინარჩუნონ.

> *„კერძო სკოლაში ეს შემთხვევები ხშირია იმიტომ, რომ ის ორიენტირებულია მოსწავლეებზე და შენით ვერ მოიზიდავენ, პიარი არ იქნება კარგი, მაგის გამო, პრობლემა შეექმნებათ. არცერთ დედას არ მოეწონება თავდაფარებული მასწავლებელი" (ბათუმი).*

> *„სადმე რომ წახვიდე და იმუშაო, ყველაზე დიდი ბარიერი არის თავსაფარი, თუნდაც საჯარო დაწესებულებებში. ვერანაირად ვერ შეხვალ, რაც უნდა განათლებული იყო" (ბათუმი).*

ისინიც კი, ვინც ამ პრობლემის დაძლევა შეძლო და მუშაობა თავსაფრით დაიწყო, სამუშაო ადგილებზე მუდმივად აწყდებიან პრობლემებს. სტერეოტიპული დამოკიდებულების გამო წინააღმდეგობები თანამშრომელთა მხრიდან გამოიხატება სიტყვიერი გზით, ირიბი ნათქვამებით, ქილიკით, ზურგს უკან მათ რელიგიურობაზე საუბრით და ა.შ. სხვა მხრივ კი აღსანიშნავია სამსახურის დაკარგვის მუდმივი შიშით გამოწვეული წნეხი. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა თქმით, ხშირია ფაქტები, როცა თავსაფრიან მუსლიმ ქალებს სამსახურიდან სხვა, რაიმე მოგონილი მიზეზით ათავისუფლებენ, ხოლო რეალური საფუძველი სწორედ რომ მათი რელიგია და ის ატრიბუტია, რომლითაც აღმსარებლობის იდენტიფიცირება შეიძლება.

> *„ონკოლოგიურში ერთი გოგო ექთნად მუშაობს, თავდაფარებული, მაგრამ ისევ თანამშრომლების მხრიდან ჰქონდა რაღაც ზეწოლა, რახან ქრისტიანი ქვეყანაა" (ბათუმი).*

თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, არსებობს წარმატებული მაგალითებიც, რომლებიც სხვებისთვის ხშირად მოტივატორი ხდება.

> *„არის ერთი გოგო, რიზეში დაამთავრა, ჩამოვიდა, შევიდა თავდაფარებული და რომ დაიწყო მუშაობა თავსაფრით, ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა. შემდეგ, რომ აჩვენა, რომ ექიმებზე ბევრი რამე იცოდა, შემდეგ უკვე შეხედულებები შეეცვალათ. პროფესიონალიზმი სადღაც შველის, მაგრამ მაინც თავსაფარი არის ყველაზე დიდი ბარიერი" (ბათუმი).*

როგორც არ უნდა იყოს, უნდა ითქვას, რომ პრობლემას სისტემური ხასიათი აქვს და დღემდე სრულყოფილად არ არის დაძლეული. თითოეული წარმატებული შემთხვევა ის იშვიათი პრეცენდენტია, რომელიც ცაკლეული ადამიანების უშუალო ძალისხმევით არის მიღწეული. თავსაფრის მატარებელი ქალებიდან მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს და გაარღვიეს საზოგადოების, დამსაქმებლების, ოჯახის წევრებისა თუ საკუთარი თავის მხრიდან აღმართული ბარიერი. მაგრამ პრობლემა, სამწუხაროდ, ისევ პრობლემად რჩება და ასეულობით მუსლიმ ქალს აწუხებს, თუმცა გარკვეული ნაწილისთვის იგი სულაც არ აღიქმება პრობლემად.

პოლიტიკური მონაწილეობა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მონაწილეთა აზრით, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში აჭარელი ქალების ჩართულობა შედარებით დაბალია. ამის მიზეზად არაერთი ფაქტორი სახელდება. უპირველესად აღსანიშნავია, ზოგადად, საქართველოში არსებული მდგომარეობა, რომლის მიხედვითაც, ქალები არც ისე აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ არაერთი ღონისძიება ტარდება.

> *„პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების ჩართულობა ძალიან ნაკლებია, აჭარაში მით უმეტეს."*

→ **ქალების პოლიტიკური ჩართულობის მნიშვნელობა** - პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება ქალებისთვის, მათივე გადმოსახედიდან, ძალიან მნიშვნელოვანია. ისინი დადებითად აფასებენ ცვლილებებს, რომლებიც ამ მხრივ ბოლო დროს განხორციელდა (დაფინანსება ეზრდებათ პარტიებს, რომლებსაც ქალები ჰყავთ რიგებში; გენდერულ ბალანსს ითხოვენ ორგანიზაციებშიც). პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივიზმი, მათი აზრით, გადამწყვეტია, რადგან თვლიან, რომ რიგ საკითხებს ქალი უფრო კარგად ართმევს თავს. ამავდროულად საჭიროდ მიაჩნიათ მუსლიმთა წარმომადგენლობა საჯარო და სახელმწიფო ორგანოებში - ამ თემის წინაშე ჯერ კიდევ მწვავედ არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

> *„მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ უკეთესად წარმართავს საქმეს, პარლამენტი იქნება, მერია იქნება თუ საკრებულო. უფრო კარგად წარმოაჩენს თავს. ქალის ხედვა ძალიან მნიშვნელოვანია" (ბათუმი).*

> *„ჩვენ შეზღუდვა არ გვაქვს, მაგრამ მნიშვნელოვანი აუცილებლადაა ქალების მონაწილეობა, იმიტომ კი არა, რომ გენდერული თანასწორობა იყოს, არამედ იმიტომ, რომ სამსახურია ჩვეულებრივი. ნაკლებად იღებენ პოლიტიკურ განათლებას ქალები. ჩვენთან არა საერთოდ" (ხულო).*

მიუხედავად ამისა, ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა საუბარზე დაკვირვებით, ნაკლები ინტერესი შეინიშნება პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის მიმართ. მართალია, ქალები თვლიან, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში მნიშვნელოვანია, მაგრამ საკუთარ თავს მათ რიგებში არ მოიაზრებენ და პასუხისმგებლობა, ძირითადად, სხვა ქალებზე გადააქვთ.

აჭარაში მცხოვრებ მუსლიმ ქალებს, პოლიტიკაში ჩართულობის თვალსაზრისით, წინა წლებში უფრო მეტი ბარიერი ჰქონდათ. ეს საკითხი დღეისათვის შედარებით გამარტივებულია - უკვე არსებობს მუსლიმი ქალების პოლიტიკურ პარტიებსა თუ სამთავრობო სტრუქტურებში მუშაობის პრეცედენტები. თუმცა საქმე მხოლოდ ერთეულ შემთხვევებთან გვაქვს მაშინ, როცა პრობლემა ბევრად უფრო სისტემურია. მიუხედავად იმისა, რომ რელიგია ამ მხრივ არაფერს უკრძალავს მათ, ქალები მაინც ნაკლებად მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამაში, გარკვეულწილად, საკუთარ თავს ადანაშაულებენ. მათივე თქმით, მართალია, კარგად იციან გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა, მაგრამ ამ ცოდნის ქცევაში და რეალურ ცხოვრებაში გადმოტანა უჭირთ - ერთი მხრივ, ნების, ხოლო მეორე მხრივ, შესაძლებლობის არარსებობის გამო.

„ 94 წლის შემდეგ რომ გამოვიდა ქართული თარგმანები, შევისწავლეთ, რომ ქალი და კაცი არიან თანასწორი.“

„მასე ვლაპარაკობთ და არ ვაკეთებთ” (ხულო).

→ **არჩევნებზე სიარული, როგორც პოლიტიკური ჩართულობის გამოხატულება** - პოლიტიკური თვალსაზრისით ჩართულობა, კვლევაში მონაწილეთა გარკვეული კატეგორიისთვის, მხოლოდ არჩევნებზე სიარულით შემოიფარგლება, თუმცა ისლამი ხელს არ უშლით ამ სფეროში დასაქმებაში. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღმოჩნდა, არჩევნებში მონაწილეობა ამ ჯგუფისთვის მნიშვნელოვანია, მაინც არსებობს სკეპტიკურად განწყობილთა ნაწილი, რომელიც საკუთარ როლს მეორეხარისხოვნად აღიქვამს ამ საქმეში. ეს შეიძლება, არა რაიმე გენდერული ნიშნით, არამედ, ზოგადად, ქვეყანაში არსებული ვითარებითაც აიხსნას.

„არჩევნებზეც, სიმართლე გითხრათ, ისე წავედი, სოფელი მომენატრა და რახან უფასოდ წაგვიყვანეს ტრანსპორტით, იმიტომ წავედი, თორე ისე არ წავიდოდი, რადგან აშკარად ვიცოდი ვინც გაიმარჯვებდა და იმას ჩემთვის არაფერი კარგი არ უნდოდა. მივედი იმისთვის, რომ ჩემი ბარათი არ გაეყალბებინათ” (ბათუმი).

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა თქმით, პოლიტიკური ჩართულობა, არჩევნებში მონაწილეობის გარდა, ტელევიზორით ახალი ამბების გაცნობაშიც გამოიხატება. უკიდურეს შემთხვევაში, პოლიტიკაში ჩართულობა კვლევაში მონაწილეთათვის პოლიტიკური სიახლეების ცოდნასაც კი უდრის, რადგან მეტი საშუალება ან პერსპექტივა არ ჩანს. ხშირია შემთხვევაც, როცა ქალები არც კი ფიქრობენ, რომ შეიძლება არა მხოლოდ ამომრჩევლები, არამედ საარჩევნო კანდიდატები იყვნენ. თუმცა თუ თემში რომელიმე ქალი გადაწყვეტს საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას, ნაწილის აზრით, მას ბარიერი არ შეექმნება. ქალებს ხომ უფრო მეტი გაეგებათ მართვისა და რესურსების განაწილების საკითხში? მაგრამ აქვე არსებობს მეორე ჯგუფი, რომელიც აღნიშნულ მოსაზრებას სრულიად არ ეთანხმება.

„ძალიანაც კაი. მე, მაგალითად, იმ პოლიტიკას, კურიერია თუ რა არის, არ გამოვტოვებ ხოლმე არაფრით. დიასახლისი ვარ, მარა მე იმას არ ვტოვებ. იმის დროსაც ვნახულობ, რომ ვუყურო პოლიტიკას, სერიალი არ მაინტერესებს. ქალები, რა თქმა უნდა, უნდა იყვნენ ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში” (ქედა).

დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების მსგავსი მრავალფეროვნება გვაფიქრებინებს, რომ ქალებს სრულყოფილად არა აქვთ გააზრებული, თუ რას ნიშნავს პოლიტიკური ჩართულობა.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა უმეტესობას არასდროს უფიქრია არჩევნებში კენჭისყრაზე, თუმცა თუ ასეთ რამეს გადაწყვეტენ, თვლიან, რომ სქესი, აღმსარებლობა, მატრიალური მდგომარეობა და გავლენიანი სანაცნობოს არყოლა ბარიერი იქნება მათთვის.

„თავსაფარი შეიძლება ბარიერი გახდეს და მეტოქემ ეს გამოიყენოს“.

„სქესი შეიძლება იყოს ბარიერი იმიტომ, რომ ჯერაც ბევრი ფიქრობს, რომ გათხოვილი ქალია და დაჯდეს სახლში. რაიონშიც, თუ სახლის

გვერდით არ აქვს სამსახური, ვერ გავა შორს. ოჯახური მდგომარეობაც ბარიერია 90%-თვის" (ბათუმი).

თავსაფრის თემა, განათლებისა და დასაქმების მსგავსად, ამ საკითხშიც აქტუალურია. როგორც კვლევისას აღმოჩნდა, აჭარელი მუსლიმი ქალებისთვის თავსაფარი არა მხოლოდ განათლების მიღებასა და დასაქმებაში, არამედ პოლიტიკურ ჩართულობაშიც ბარიერია, რადგან ამგვარად შემოსილი ქალი საზოგადოების მხრიდან ლეგიტიმაციას ვერ მოიპოვებს და ეს იმ თავითვე განაპირობებს არჩევნებში მის წაგებას. პრობლემა იქნება საზოგადოებრივი აზრიც, რომელიც, ძირითადად, ნეგატივითა და ცნობისმოყვარეობით იქნება გაჯერებული. პრობლემაა ასევე ოჯახი, რადგან არიან ქალები, რომლებსაც ოჯახის წევრები არ შეუწყობენ ხელს და, პირიქით, შეუშლიან. კვლევის მონაწილეები თვლიან, რომ არჩევნებში მუსლიმ კაცებს უფრო ნაკლები ბარიერები აქვთ, ვიდრე ქალებს.

→ **პოლიტიკა და გენდერული სტერეოტიპები** - საზოგადოების მხრიდან ჩამოყალიბებული სტერეოტიპები, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც პრობლემატურია. მიუხედავად იმისა, უნდათ თუ არა ქალებს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა, არსებობს წინასწარი განწყობები, რომლებიც ხშირად განაპირობებს მათ შემდგომ ქმედებას. გენდერული სტერეოტიპები ყველაზე ცხადად სწორედ პოლიტიკასთან მიმართებაში იკვეთება, რაც გულისხმობს იმას, რომ საზოგადოების აზრით, ეს ქალის საქმე არ არის. როგორც მდედრობითი სქესის წარმომადგენლები აღნიშნავენ, მათ პოლიტიკურ ჩართულობას საზოგადოების, კერძოდ კი, მამაკაცების მხრიდან წამოსული სკეპტიციზმი უშლის ხელს.

„მოდერატორი: ოდესმე გიფიქრიათ კენჭი გეყარათ არჩევნებში?

კვლევის მონაწილე: სასაცილოდ არ ეყოფოდათ კაცებს ეგ" (ხულო).

კვლევის პროცესში იმის აღიარებაც მოხერხდა, რომ ქალები თვითდისკრიმინაციას ამ შემთხვევაშიც ეწევიან და მაშინაც კი, როცა სტერეოტიპული დამოკიდებულება არც ისე თვალშისაცემია, ისინი თავად უქმნიან ბარიერს საკუთარ თავსა თუ სხვა ქალებს.

მიუხედავად იმისა, რომ აცნობიერებენ რელიგიის მხრიდან შევიწროების დაბალ ხარისხს, მათ მაინც უჩნდებათ ერთგვარი თვითცენზურის გრძნობა, რომელიც ასე მოქცევას აიძულებს მათ. ამგვარად, ისინი თავად ერიდებიან ისეთ ქმედებებს, რასაც რელიგია სულაც არ უკრძალავს (პოლიტიკური ჩართულობა, სამოქალაქო აქტივიზმი და ა.შ.), მაგრამ სხვაგვარად მაინც არ შეუძლიათ.

„იმიტომ, რომ ქალები ასე შევიწროებულად ჩვენ თითონ ვაყენებთ ჩვენს თავს" (ხულო).

მაშინაც კი, როდესაც აღიარებენ, რომ ქალები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, იქვე აფიქსირებენ გარკვეულ სტერეოტიპულ მიდგომებსაც - მაგალითად, ქალის, როგორც ოჯახის მომვლელის ფუნქციას:

„ქალები აუცილებლად უნდა იყვნენ, იმიტომ რომ ქალმა უფრო იცის ანგარიში, ოჯახში რაც საჭიროა და ქალს რა სჭირდება, ოჯახს, ბავშვს" (ბათუმი).

→ **აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალების სამოქალაქო ჩართულობა** – პოლიტიკაში ჩართულობის მსგავსად, ქალები სამოქალაქო აქტივობებშიც ნაკლებად მონაწილეობენ, მაგალითად, არ ერთვებიან დასახლების საერთო კრებებში, რადგან თვლიან, რომ იქ მათი ადგილი არ არის.

> *„არის თემის პრობლემა. საკრებულოები არის შექმნილი, სადაც ტარდება კრებები. ვთქვათ, ჩვენს სოფელში ტარდება კრება, რა გავაკეთოთო და მიდის იქ უმეტესობა კაცები. ქალები იქ ნაკლებად მიდიან" (ხულო).*

ამის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ საზოგადოების წევრი მამაკაცები ქალებს საკმარისად კომპეტენტურად არ აღიქვამენ ამ საქმეში. მიუხედავად ამისა, ქალებს აქვთ მზაობა და თუ კაცები გამოიჩენენ ინიციატივას და სოფლის საერთო კრებებზე მიიწვევენ მათ, აუცილებლად დაესწრებიან.

> *„იშვიათია, რომ ქალები მივიდეთ მანდ. აი, მაგალითად, იგერ ეზოში ვარ და იკრიბებიან [კაცები], არ მივდივარ. ძირითადად, კაცები დადიან. როცა გვეუბნებიან, მივდივართ.*
>
> *კაცები არიან ძირითადად, მაგრამ თუ იტყვიან ხოლმე, მოდითო, მივალთ. ისე არავის დაუძალებია" (ქედა).*

ამასთან დაკავშირებით გამოიკვეთა, რომ შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობა აჭარელი მუსლიმი ქალებისთვის იმ შემთხვევაშია მისაღები და სასურველი, თუკი თემატიკა ქალებისთვის არის აქტუალური.

> *„თუ ქალებს ეხება ეს საკითხი და საჭიროა, რატომ არ მივალთ და თუ არა, არა" (ქედა).*

ბუნებრივია, თვითცენზურა მხოლოდ განათლებისა და დასაქმების საკითხებში არ ახასიათებთ და თავს ქალების სამოქალაქო ჩართულობის დროსაც იჩენს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მუსლიმი ქალი მზადაა, მონაწილეობა მიიღოს კრებებში და იყოს სოციალურად აქტიური, ისეთებიც არიან, რომლებიც მსგავს ღონისძიებებზე თავიანთი დასწრების საჭიროებას ვერ ხედავენ. ეს შეიძლება აიხსნას იმ ტრადიციული ღირებულებებით, რომლითაც ისინი იზრდებიან და ამდენად, საკუთარ თავს გადაწყვეტილების მიმღებ პირებად ვერ მოიაზრებენ.

> *„ისე, მე სულ არ მინდა, წავიდე და იმ მამაკაცებში დავჯდე. უმეტესად ასეა ყველა და მე არ მექნება სურვილი, ჩემი ქმარი იქ ზის, მეც იქ ვზივარ, ყველას აქვს უფლება, მაგრამ რომ შეიქმნება ისეთი სიტუაცია, არ არის ჩემი სალაპარაკო იქ, ქალების, თუ გადასაწყვეტია ოჯახში რაღაც, ოჯახში გადავწყვეტთ და იქ იმხელა საზოგადოებაში, ორი სოფელია, თუ სამი, მე არ მიმაჩნია სწორად" (ხულო).*

ნათელი ხდება, რომ სამოქალაქო ცხოვრება, კონფერენციებზე, ტრენინგებზე სიარული, ძირითადად, ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდა თაობისთვის არის აქტუალური. უფროსი თაობის ადამიანებს კი ამის შესახებ ინფორმაცია ნაკლებად მიეწოდებათ.

სოციალური ცხოვრება

ყოველდღიურობის შემადგენელი სხვა ნიუანსების მსგავსად, სოციალური ცხოვრება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია აჭარელი მუსლიმი ქალებისთვის. სოციალურ ცხოვრებაში მოიაზრება თავისუფალი დროის ეფექტურად გატარება, გასართობ აქტივობებში ჩართვა ან მათი დაგეგმვა. გართობის ინტენსივობა და საშუალებები პირდაპირ კავშირშია მათ სოციალურ მდგომარეობასთან, საცხოვრებელი ტერიტორიის ცვალებადობასთან და სხვა ფაქტორებთან. ძირითადი გასართობი აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალებისთვის არის ხელსაქმე, წიგნის კითხვა, ერთმანეთთან კონტაქტი და ბათუმის სხვადასხვა ადგილების მონახულება. ბუნებრივია, რომ ქალაქში მცხოვრებ ქალებს გართობის უფრო მეტი და ხელმისაწვდომი საშუალებები აქვთ, მაგრამ პრობლემები მათთანაც იკვეთება. ძირითადი წინააღმდეგობები კი არა რელიგიისა და გენდერის ფაქტორია, არამედ, ზოგადად, არსებული ვითარება, რაც ადგილობრივებს სოციალურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობებს ნაკლებად სთავაზობს. ამაში იგულისხმება სოციალური ფონი თუ გასართობი დაწესებულებების მიზნობრიობა, რომლებიც უმეტესწილად ტურისტებზეა მორგებული.

კითხვაზე, თუ რა გაუკეთებიათ ქალებს იმისათვის, რომ გართობა უფრო ხელმისაწვდომი გამხდარიყო, კვლევის დროს არაერთი პასუხი გაჟღერდა, თუმცა ყოველი ინიციატივა, უმთავრესად, მათი შვილებისკენ იყო მიმართული და არა თავად ქალების გასართობად.

→ **ურთიერთობა, როგორც გართობის ძირითადი საშუალება** - სოციალური ცხოვრება და გართობა_ აჭარელი მუსლიმი ქალებისთვის ერთმანეთთან სტუმრობით, ხელსაქმითა და გასართობის მათივე სახსრებით გამოძებნით შემოიფარგლება. ერთანეთთან ყავის დასალევად გამართულ შეკრებებზე ურთიერთობა მათი გართობის ყველაზე ხშირი ფორმაა. როგორც ამბობენ, მოუცლელობის გამო, ხშირად სხვას ვერაფერს ახერხებენ, ამიტომ მეზობლად მცხოვრებ ქალებთან დროის გატარება უფრო უადვილდებათ დღის იმ მონაკვეთში, როცა საქმეების დროებით გვერდით გადადება შეუძლიათ.

> *„ყავაზე ერთმანეთს დავუძახებთ, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მივიდეთ. იმისთვის მივიდეთ, რომ განტვირთვა მოვახერხოთ“ (შუახევი).*

→ **განსხვავება ქალაქისა და სოფლის გასართობ საშუალებებს შორის აჭარაში** - სოფლად მცხოვრები ქალების მთავარი გასართობი ტელევიზორია, რადგან აქ სხვა საშუალება არ არის. ადრე, ზოგიერთ სოფელში კინო-თეატრიც ფუნქციონირებდა, მაგრამ უკვე დიდი ხანია იგი აღარ არსებობს. სოფელში მცხოვრები ქალების თქმით, ბათუმში, ბევრი გასართობი საშუალებაა, რასაც ისინი მოკლებულნი არიან. თავად ბათუმში მაცხოვრებლები კი ამბობენ, რომ მათ ქალაქში არსებულ გასართობ დაწესებულებაზე თავადაც არ მიუწვდებათ ხელი, რადგან მსგავსი ადგილები, ძირითადად, ტურისტებზეა გათვლილი და ადგილობრივების ბიუჯეტს ნაკლებად ერგება. ამიტომ გართობის მრავალგვარი შესაძლებლობებიდან ერთ-ერთი მთავარია პარკებში სეირნობა, რასაც ახალგაზრდები ხშირად მიმართავენ. ისინი თვლიან, რომ უკეთესი გართობის მიზნით კარგი იქნება, თუ ადგილობრივი ტურისტული ცენტრები მკვიდრი მოსახლეობისთვისაც იქნება ხელმისაწვდომი.

> *„არის საშუალებები, მაგრამ ისეთი ძვირია, რომ მე, მაგალითად, ხანდახან მეძვირება ის კინო და შვილიშვილი ვერ მიმყავს.*

დაკავშირებულია ყველაფერი ფასებთან. ის გასართობი და ისიც, მინდა გავიყვანო შვილი და შვილიშვილი, მაგრამ მე კი არ მიჭირს, მაგრამ არის ის შეზღუდვა, ისე ძვირია, რომ ვერ მიდის ადამიანი. დღეს იმ რვა ლარით ურჩევნია საჭმელი უყიდოს, ვიდრე წაიყვანოს კინოში და თეატრში. არა აქვს შესაძლებლობა" (ბათუმი).

→ **„თვითგართობა"** – იმის გამო, რომ გასართობი საშუალებები ხშირად არ არსებობს, ან თუ არსებობს ნაკლებად ხელმისაწვდომია, ქალები თავადვე იწყობენ გართობის დღეებს ან საათებს, რაშიც განსაკუთრებულ მატერიალურ რესურსებს არ ხარჯავენ. იგულისხმება, მაგალითად, ფრენბურთის თამაში, ქსოვა, ქარგვა და ა.შ. ისინი ასევე თავად გეგმავენ საახალწლო ღონისძიებებს, სადაც მოსწავლეებსაც აკავებენ. თავისუფალ დროს დადიან სასეირნოდ, კითხულობენ, ერთობიან მეგობრებთან, იკრიბებიან ერთად და ხანდახან პიკნიკზეც დადიან. სოციალური ცხოვრებისა და თვითგართობის დროის მნიშვნელოვანი ნაწილი სასულიერო ლიტერატურის კითხვასა და შესწავლას ეთმობა.

„რამე ღონისძიება თუ ტარდება ცენტრში, ვცდილობთ, ყველაფერს დავესწროთ. ჰობი ის გვაქვს, ფრენბურთის თამაში" (ხულო).

თვითგართობის ამ საშუალებების გარდა, ქალები ხშირად აწყობენ შეკრებებს საცხოვრებლის გარეთაც. სოფლად მცხოვრებლები, მაგალითად, მიდიან ქალაქში, ესწრებიან სხვადასხვა ღონისძიებებს და ცდილობენ, დრო საინტერესოდ გაატარონ.

„თავისუფალი დრო თუ არ გამოვნახეთ, მასე ჩვენც არ გვექნება. გამოვდივართ, არის აქ ხინკლის სახლები, არის თეატრი, მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ არ ჩავაგდოთ. გოდერძის საცურაო ბაზაზე ავდივართ, დარბაზში ჩავდივართ" (ხულო).

→ **გართობის ხელშემშლელი ფაქტორები** - მართალია, აჭარაში მცხოვრები ქალები ესწრებიან კონცერტებს, რომლებიც ქალაქში უფრო ხშირად ტარდება, ვიდრე სოფლად და ცდილობენ, ამ მხრივ აქტიურობა გამოიჩინონ, მაგრამ საამისო რესურსების სიმცირე მნიშვნელოვანი პრობლემაა მათთვის. ისლამი კი სულაც არ არის ხელისშემშლელი ფაქტორი გართობაში. ამბობენ, რომ რელიგია არაფერს კრძალავს ისეთს, რაც მათ გართობას უკავშირდება.

„რელიგიური შეზღუდვები გართობასთან დაკავშირებით არაა, მთავარია, ჩვენ უნდა მოვინდომოთ, რომ დავისვენოთ და თავისუფალი დრო ვნახოთ" (ხულო).

დასკვნა

როგორც კვლევის ანგარიშიდან ირკვევა, აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალები არაერთი პრობლემისა თუ საჭიროების წინაშე დგანან. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვეობამ მათ მეტი თავისუფლება და შესაძლებლობები მოუტანა, დღემდე არსებობს ბარიერები, რომლებიც ცხოვრების ახლანდელ წესთან კვლავაც შეუსაბამოა. მუსლიმი ქალები დისკრმინაციას აწყდებიან როგორც ფორმალურ

გარემოში, (მაგალითად, საგანმანათლებლო ინსტიტუციებში ან საჯარო დაწესებულებში), ასევე - არაფორმალურ გარემოში, მათივე ოჯახებსა თუ თემში.

სირთულეების დიდი ნაწილი კი იმ სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირდება, რასაც საზოგადოების სხვა წევრებიც იზიარებენ. თუმცა არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რომლებსაც ფოკუს ჯგუფის მონაწილეები რელიგიური აღმსარებლობისა თუ სქესის გამო განიცდიან და ეს მუსლიმ ქალებს ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლებად აქცევს. კერძოდ, რელიგიური აღმსარებლობის გამო დისკრიმინაცია იკვეთება საგანმანათლებლო სივრცეებში და დასაქმების დროს, ხოლო სქესის ნიშნით დისკრიმინაცია უფრო აქტუალურია პოლიტიკურ აქტივიზმში ჩართულობისას.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ ქალებს ხშირად უჭირთ პრობლემების სახელდება. ისინი პრობლემებისგან დისტანცირდებიან და არ მიიჩნევენ, რომ თავად შეუძლიათ მათი გადაჭრა.

რელიგიურ დისკრიმინაციაზე საუბრისას, ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა თქმით, შემზღუდველი მათთვის არა რეალიგია, არამედ საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებებია. რელიგიურ ნიადაგზე განხორციელებული ჩაგვრა კი, ძირითადად, ისეთი თავისუფლებების შეზღუდვაში გამოიხატება, როგორიცაა სასურველი სამოსელის ტარება (იგულისხმება თავსაფარი, როგორც რელიგიური ატრიბუტი) ან სოციალურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვა და ა.შ. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა განცხადებით, ამ შეზღუდვებს მათ ისლამი კი არ უწესებს, არამედ ის სტერეოტიპული გარემო, რომელშიც ცხოვრობენ. მათი სურვილი, იყვნენ უფრო აქტიურები, წარმატებულები, რეალიზებულები, ხშირად სოციუმის მხრიდან წამოსული წინააღმდეგობებით იზღუდება. ზოგჯერ კი დისკრიმინაცია არა მხოლოდ გარემოდან, არამედ საკუთარი თავიდან მოდის. როგორც აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალები ამბობენ, ზოგჯერ საკუთარ თავს თავადვე უწესებენ საზღვრებს იმიტომ, რომ სხვების უკმაყოფილება არ გამოიწვიონ.

რელიგიური ნიშნის სტერეოტიპებისგან არც საგანმანათლებლო სივრცეებია დაცლილი, რაც სასწავლო პროცესში მუსლიმი გოგონების შევიწროების მაგალითებში ვლინდება. აჭარის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სკოლები, უნივერსიტეტი და პროფესიული სასწავლებლები, სადაც განათლების მიღება შეუძლია ყველას, თუმცა ამ დაწესებულებებში დღემდე ბარიერად რჩება თავსაბურავით მისვლა - სწავლა, ან/და მუშაობა. მართალია, არსებობს წარმატებული შემთხვევები, როცა ცალკეულმა ადამიანებმა ამ წინააღმდეგობის გადალახვა საკუთარი ძალებითა და მიზანდასახულობით მოახერხეს, მაგრამ პრობლემა მეტად სისტემურია და ხანგრძლივ პერსპექტივაში საჭიროებს მოგვარებას.

განათლების სისტემაში არსებული ხარვეზების გარდა, პრობლემებია დასაქმებაშიც. გარკვეული სტრუქტურები მუსლიმი ქალებისთვის ხშირად დაკეტილია, ან იმ დონეზეა ღია, რა დონეზეც მათ ამ დაწესებულებების სტანდარტებზე მორგება შეუძლიათ. გარეგნული იერი (თავსაფარი) აქაც გადამწყვეტ ფაქტორად რჩება.

როგორც გამოვლინდა, აჭარელი მუსლიმი ქალები პასიურები არიან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. სამოქალაქო აქტივობა, ძირითადად, მამაკაცების სფეროდ აღიქმება, რომელში ჩართვისგანაც ქალები ხშირად თავს იკავებენ. ამის მიზეზებზე მსჯელობისას, კვლევის მონაწილეთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, რელიგიურობა ხელის შემშლელი ფაქტორი სულაც არ არის, მეორე ნაწილის თქმით კი, ყველაფრის თავი და თავი ის განწყობებია, რომელიც მათი აღმსარებლობის გამო საზოგადოების დანარჩენ წევრებს აქვთ.

სოციალური ცხოვრება იმ დონეზეა ხელმისაწვდომი მათთვის, რამდენადაც ამის საშუალებას ეკონომიკური მდგომარეობა და ადგილმდებარეობა იძლევა. აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალები ამ

მხრივ მხოლოდ მატერიალურ უსახსრობასთან დაკავშირებულ პრობლემებს აწყდებიან, რის გამოც ზოგჯერ უარის თქმა უწევთ გართობაზე. გართობის კიდევ უფრო ნაკლები საშუალება აქვთ სოფლად მცხოვრებ ქალებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობენ სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობას, დროის ნაყოფიერად გამოყენებას და ამას, ძირითადად, ერთმანეთთან კონტაქტით ახერხებენ. აღნიშნულ საკითხში ისინი რელიგიურ წინაღობებს არ უჩივიან.

საბოლოოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ აჭარელი მუსლიმი ქალები მთელ რიგ დაბრკოლებებზე საუბარს არ ერიდებიან, თუმცა პრობლემის მომგვარებლებად საკუთარ თავს არ განიხილავენ და პასუხისმგებლობა გარე აქტორებზე გადააქვთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოთ ნახსენები თითოეული საკითხი პროგრესს განიცდის და თუ რომელიმე მათგანი რამდენიმე ათეული წლის წინ საკმაოდ მწვავედ იდგა, დღეს ისეთ მნიშვნელოვან წინაღობას აღარ წარმოადგენს. ეს გვაფიქრებინებს, რომ ხელშეწყობის შემთხვევაში, კვლევის ანგარიშში ხაზგასმული ყველა პრობლემა ხანმოკლე პერსპექტივაში შეიძლება მოგვარდეს.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული პრობლემებისა თუ გამოწვევების ნაწილი, ზოგადად, მუსლიმი თემისთვის არის საერთო და სოციო-ეკონომიკური პირობებიდან მომდინარეობს, ხოლო ნაწილი უშუალოდ ქალებს ახასიათებთ და მათში სწორედ რელიგიური და გენდერული ნიშნების ურთიერთკვეთა შეინიშნება. კვლევის მონაწილეების წინაშე მდგარი გამოწვევებისა და პრობლემების ანალიზის შედეგად კი შემდეგი სახის თემატური რეკომენდაციები შემუშავდა:

→ **განათლება**

- თანასწორუფლებიანი სასწავლო (სასკოლო, საუნივერსიტეტო) გარემოს უზრუნველსაყოფად, სადაც მუსლიმი ქალები ადაპტირებას შეძლებენ და ასევე - სისტემური ცვლილებისთვის, აუცილებელია არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულების შეცვლა როგორც სკოლის/უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის (მასწავლებლები, მოსწავლეები, სკოლის/უნივერსიტეტის ადმინისტრაცია), ისე დანარჩენი საზოგადოებისა და სამთავრობო სტრუქტურებისთვის. ცნობიერების ამაღლება შეიძლება არაფორმალური განათლების, სოციალური კამპანიის ან სხვა გზებით. ამ ცვლილების გატარება განსაკუთრებით ეფექტური იქნება, თუ იგი განხორციელდება, ერთი მხრივ, ცენტრალურ დონეზე - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ხოლო, მეორე მხრივ - აჭარაში მოქმედი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ;
- სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით, ადგილობრივი მთავრობის მხრიდან უნდა დაფინანსდეს ბაღების მშენებლობის პროექტები, რადგან ამ პრობლემის წინაშე არაერთი მაღალმთიანი სოფელი დგას და სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლები (ძირითადად, ქალები) ათეულობით კილომეტრს გადიან მიმდებარე სოფლების ბაღებში შვილების სატარებლად;

- სოფლებში და ქალაქშიც (ბათუმი) სამოქალაქო განათლებაზე ტრენინგებისა თუ პროექტების სიმცირის გამო, რეკომენდებული იქნება, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არაფორმალური განათლებისთვის მეტი ფულადი რესურსის გამოყოფა, რათა მუსლიმ ქალებს არაფორმალური განათლების შესაძლებლობებზეც მიუწვდებოდეთ ხელი.

→ დასაქმება

- დასაქმების პროცესში მუსლიმ ქალთა მიმართ დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია დამსაქმებლების ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ დონეზე, რაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ან არასამთავრობო ორგანიზაციების ინიცირებით შეიძლება განხორციელდეს;
- მუსლიმი ქალებისთვის დასაქმების პრობლემის მოგვარებას, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს ადგილობრივი დამსაქმებლების/ორგანიზაციების ან/და სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ უმაღლესი სასწავლებლების მიერ ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამის დანერგვა/ხელშეწყობაც, რადგან ეს უკანასკნელი მათ შემდგომ დასაქმებას უფრო ხელმისაწვდომს გახდის.

→ პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივიზმი

- პოლიტიკურ საკითხებში ქალთა ცნობიერების ასამაღლებლად და იმისათვის, რომ ქალებმა უკეთ გაიაზრონ, თუ რა იგულისხმება პოლიტიკურ აქტივიზმში, მეტი ინფორმაცია მიიღონ საკუთარი პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლება-მოვალეობების შესახებ, აუცილებელია სამიზნე ჯგუფთან საინფორმაციო შეხვედრები/ტრენინგები;
- მუსლიმ ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გასაზრდელად ქალთა გაძლიერება და გენდერული როლების ტრადიციული განაწილების გადააზრებაა აუცილებელი, რაშიც მნიშვნელოვანი როლის შესრულება ქალთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ცნობიერების ამაღლების კამპანიებს შეუძლია.

→ სოციალური ცხოვრება

- იმისათვის, რომ სოციალური ცხოვრება აჭარელი ქალებისთვის თვითრეალიზების ერთ-ერთ შესაძლებლობად იქცეს, მნიშვნელოვანია, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხრიდან გარკვეული აქტივობების განხორციელება. ფოკუს ჯგუფის წევრებმა პრიორიტეტულად კინო-თეატრი, ბიბლიოთეკა და საბავშვო სათამაშო მოედნები დაასახელეს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ადგილობრივ დონეზე განვითარება მოსახლეობის და, მათ შორის, ქალების სოციალური ცხოვრების გამრავალფეროვნებასა და გააქტიურებას შეუწყობს ხელს.